

ერთწლიანი განვითარების გეგმა

სკოლის მიზანი - დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემის ვალდებულება. სკოლის მთავარი მისიაა შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად, საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ასევე, დაეხმაროს მათ მომავალი განვითარების გზის არჩევაში (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).

სკოლის ამოცანები - განუხრელად იზრუნოს პედაგოგთა ხარისხობრივ ზრდაზე. იყოს კონკურენტუნარიანი. დადგენილ ვადებში მოიპოვოს სახელმწიფო სერთიფიცირება. შექმნას შესაბამისი პირობები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

1) სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა

- ა) სკოლის სასწავლო გეგმა;
- ბ) სკოლის ბიუჯეტი;
- გ) სკოლის შინაგანაწესის შემუშავება;
- დ) ერთწლიანი და ექვსწლიანი სასწავლო გეგმის შედგენა;
- ე) პედაგოგიური საბჭოს შექმნა;
- ვ) საგნობრივი კათედრების შექმნა;
- ზ) სადამრიგებლო პროგრამების ამოქმედება;
- თ) გაკვეთილების ცხრილის შემუშავება;
- ი) პედაგოგთა და მოსწავლეთა პირადი საქმიანობის მოწესრიგება;
- კ) ხელშეკრულებების გაფორმება პედაგოგებთან;
- ლ) სკოლის საათობრივი ბადე.

2) მოსწავლეებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მისი ფუნქციონირების ხარისხის შეფასება;

საგნობრივი სწავლების გაძლიერება მესამე საფეხურზე;

XII კლასში სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით:

- ა) კონკრეტული სამოქმედო გეგმის შედგენა,
- ბ) აბიტურის პროგრამის დანერგვა;
- გ) სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი;
- დ) უცხო ენების სწავლების გაძლიერება;
- ე) გრიფირებული სასწავლო სახელმძღვანელოების შერჩევა.

3) სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება

1. პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება.
2. საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია;
3. კათედრების ფუნქციების გაძლიერება;
4. მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა;
5. შიდა, რესპუბლიკური და საერთაშორისო პროექტების დანერგვა და მართვა;
6. სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება და დამრიგებელთა მუშაობის მუდმივი მონიტორინგი;
7. საჩვენებელი გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება ყველა საგანში;
8. კონფერენციების, სემინარების, ოლიმპიადების, შემეცნებით-სპორტული, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა;
9. წრეობრივი მუშაობის დანერგვა და მართვა;
10. მოტივაციის სისტემის ამუშავება;
11. კედლის გაზეთების, ხელნაწერი ჟურნალების გამოცემა;
12. წარჩინებულ მოსწავლეთა კუთხის მოწყობა;
13. სკოლებს შორის პარტნიორობა;
14. ინკლუზიური განათლება.

4) სკოლის მმართველობა

- ა) მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება;
- ბ) მოსწავლეთა წრეების ჩამოყალიბება;
- გ) პედსაბჭოს მუშაობის ეფექტური მუშაობა;
- დ) საინფორმაციო დაფის მოწყობა;

5) უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა

- ა) მოსწავლეთა, პედაგოგთა და ტექნიკური პერსონალის მორიგეობის ორგანიზება;
- ბ) მოსწავლეთა სკოლაში დასწრების მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- გ) პედაგოგთა გამოცხადების აღრიცხვა და შესაბამისი რეაგირება;
- დ) სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა.

6) სკოლაში არსებული ადამიანური, პროფესიული და ტექნიკური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა სკოლის მიზნების მისაღწევად

- ა) სკოლის ბრენდირება;
- ბ) საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- გ) საკანცელარიო დოკუმენტაციის მოწესრიგება (საკლასო ჟურნალების, ბრძანებების
- დ) წიგნის, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნები, პედსაბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოება, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის მიღებისა და გაცემის წიგნების წამოება, სხვა);
- ე) ბიბლიოთეკის აქტიური ჩართვა სკოლის ცხოვრებაში;
- ვ) საგნობრივი საკლასო კაბინეტების მოწყობა და მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით ;
- ზ) თვალსაჩინო-სააგიტაციო მასალების მოწესრიგება.

7) სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება

8) სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება

მოტივაციის გაზრდა ფინანსური და წახალისების სხვადასვა ფორმებით

9) მშობელთა ჩართულობა, მშობლებსა და სკოლასა შორის თანამშრომლობის გააქტიურება

- ა) ორმხვრივი კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის;
- ბ) მშობლის მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა;
- გ) მშობელთა სათათბიროს შექმნა.

10) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

- ა) ტრენინგები და სემინარები;
- ბ) პედაგოგების თანამშრომლობა;
- გ) მასწავლებელთა მონაწილეობა სასერთიფიკაციო გამოცდებში.

სკოლის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია მისი განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი გეგმა, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის ხედვა და მისია, მისი გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო და რეალური საშუალებები. ყოველივე ამისათვის ვაკეთებთ ანალიზს, განვითარების რა სტადიაზე ვიმყოფებით, რა არის ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამის შემდეგ ვამუშავებთ სტრატეგიულ მიმართულებებსა და მიზნებს, რომელთა საფუძველზეც სკოლა ადგენს ერთწლიანი და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) განვითარების სამოქმედო გეგმას.

გეგმა, სკოლის მისიიდან გამომდინარე, ასევე ითვალისწინებს სკოლის საქმიანობის მუდმივ განახლებასა და სრულყოფას, მოსწავლეთათვის სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, კვალიფიციური კადრების მოზიდვას, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად გადამზადებას, სკოლის თანამედროვე მატერიალურ – ტექნიკური ბაზის მოდერნიზებას. სკოლის უმთავრესი პრიორიტეტია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.